



სახელმწიფო სერვისების
ბანკითარების სააგენტო

**სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან
დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური
მომსახურება
(მანქანის რეცხვა და მსგავსი მომსახურებები)
(CPV50112300)**

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი

2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.
2. ტექნიკური დოკუმენტაცია.
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში (შემდგომში - სისტემა).

1.2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.3. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.4. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.5. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.6. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

პრეტენდენტს შესაძლებლობა ეძლევა სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ მოითხოვოს სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ #67ა;

საკონტაქტო პირები:

გიორგი მესხი, ტელ: 2 40 10 10 - 3116; 5 (77) 61 33 99; ელ. ფოსტა: g.meskhi@sda.gov.ge

მარინე გვრიტიშვილი, ტელ: 2 40 10 10 - 3114; 5 (77) 61 55 15; ელ ფოსტა: m.gvritishvili@sda.gov.ge

2. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოითხოვება.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, რეცხვის ტალონების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

3.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ მოითხოვება.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი:

5.1 საქონლის მიწოდება სავალდებულოა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა.

5.2. რეცხვის ტალონების მიწოდების ადგილია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საწყობი მის. წერეთლის გამზ. 67ა.

6. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლოა დასაბუთდეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაბამის სფეროში აკრედიტებული ნებისმიერი პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, ან/და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან ანგარიშფაქტურით (ინვოისით), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

7. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

6.1. იურიდიული და საბანკო რეკვიზიტები;

6.2. ფასების ცხრილი.

6.3. ინფორმაცია, ქ. თბილისში, მიმწოდებლის სარგებლობაში არსებული მდებარე ავტოსამრეცხაოების ადგილმდებარეობის შესახებ, შესაბამისი მისამართების მითითებით (არანაკლებ 5 სამრეცხაო, მათ შორის ერთ მისამართზე უნდა იყოს არანაკლებ 5 ავტომანქანის გასარეცხი ადგილი (ბოქსი)). ასევე საქართველოს მასშტაბით ავტოსამრეცხაოს ფლობის შემთხვევაში პრეტენდენტმა დამატებითი ინფორმაციის სახით უნდა წარმოადგინოს მისამართები.

ტექნიკური დავალება

ავტომანქანების რეცხვის გასაწევი მომსახურება მოიცავს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბალანსზე რიცხული 16 ავტომანქანის, მათ შორის 13 ერთეული მსუბუქი, 2 ერთეული ჯიპის ტიპის ავტომანქანის და ერთი მიკროავტობუსის რეცხვის მომსახურებას.

რეცხვის მომსახურება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში არაუგვიანეს 5 დღისა მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წარმომადგენელს გადასცეს შესაბამისი სახეობის და რაოდენობის ავტომანქანის რეცხვის უფლების დამადასტურებელი ტალონი.

რეცხვის მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ წინასწარ მითითებულ მისამართებზე შემსყიდველის ავტომანქანის გამოცხადებისა და შესაბამისი რეცხვის უფლების დამადასტურებელი ტალონის წარდგენის შემთხვევაში არაუგვიანეს 1 საათისა.

ავტომანქანების რეცხვის გასაწევი მომსახურება წლის განმავლობაში სააგენტოს ავტომანქანებისთვის უნდა განხორციელდეს:

ა) მსუბუქი ავტომანქანის 552 რეცხვის მომსახურება 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (შესაბამისი მომსახურების დამადასტურებელი რეცხვითი ტალონის მეშვეობით);

ბ) ჯიპის ტიპის ავტომანქანის 144 რეცხვის მომსახურება 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (შესაბამისი მომსახურების დამადასტურებელი რეცხვითი ტალონის მეშვეობით);

გ) მიკროავტობუსის ტიპის ავტომანქანის 48 რეცხვის მომსახურება 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (შესაბამისი მომსახურების დამადასტურებელი რეცხვითი ტალონის მეშვეობით);

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავტომანქანის ძარის, სალონისა და საბარგულის გარეცხვა/გასუფთავება.

პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს გასაწევი მომსახურების განფასებას, რაც გულისხმობს საერთო ღირებულებას და თითოეული ავტომანქანის ტიპის მიხედვით ერთიულის ფასს. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი

№	მისაწოდებელი მომსახურების მოკლე დახასიათება	რაოდენობა ცალობით	ერთეულის ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ფასი (დღგ-ს ჩათვლით)
1	მსუბუქი ავტომანქანის რეცხვის ტალონი	552		
2	ჯიპის ტიპის ავტომანქანის რეცხვის ტალონი	144		
3	მიკროავტობუსის ტიპის ავტომანქანის რეცხვის ტალონი	48		

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

შენიშვნა: გასაწევი მომსახურების ერთეულის და საერთო ღირებულება უნდა შეივსოს პრეტენდენტის მიერ.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი

_____, 2017 წელი

ერთის მხრივ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ნინო ინწკირველის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, №_____ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლებით _____ სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: შემსყიდველის მფლობელობაში არსებული ავტომანქანების რეცხვის მომსახურება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევნი ხარჯებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების დანართი №--ით განსაზღვრულია გასაწევი მომსახურების ერთეულის ღირებულება.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში გადასცეს შემსყიდველის წარმომადგენელს შესაბამისი სახეობის და რაოდენობის ავტომანქანის რეცხვის უფლების დამადასტურებელი ტალონი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №67ა.

4.3 ავტომანქანების რეცხვის მომსახურება მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს დანართი №---ით გათვალისწინებულ მისამართებზე შემსყიდველის ავტომანქანის გამოცხადებისა და პუნქტი 4.2-ით გათვალისწინებული შესაბამისი სახეობის რეცხვის უფლების დამადასტურებელი ტალონის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 სთ-ის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, პუნქტი 4.2-ით გათვალისწინებული ავტომანქანის რეცხვის უფლების დამადასტურებელი ტალონის მიწოდებისას შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან სააგენტოს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი მესხი და ლოჯისტიკის სამსახურის მთ. სპეციალისტი გიორგი მანიუაშვილი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მოწოდებული ავტომანქანის რეცხვის უფლების დამადასტურებელი ტალონების ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის და მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- სახელმწიფო შესყიდვების კანონის 22¹ მუხლის საფუძველზე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგინოს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მოთხოვნილი შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია და/ან ინფორმაცია;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.6 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაეკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დაგები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დაგები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და „შემსყიდველთან“ შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

13.5 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო სამი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: